შ ბათი, 7 ივლისი 1907 წ.

წელიწადი პირველი № 146

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახავს [illegible] წერილებს და მოთხრობებს. [illegible] რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ტელეგრ. ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

---

**მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა, და ალექსანდრე ივანე ძე ჯამბაკურ-ორბელიანი,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა გულით საყვარელისა და დაუვიწყარის დეიდა მათის

**ნინო ვასილის** ასული **ფონ-გერშელმანისა,**

სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრონ მიცვალებულის გვამის გამოსვენებას საკუთარის სახლიდან (ნიკოლოოზის ქუჩა № 66) შაბათს, შვიდ ივლისს, დილის 9 საათზედ წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ნიკოლოოზის ქუჩა), საიდამაც ცხედარი დასაკრძალავად წასვენებულ იქმნება ნემეცების სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 საათზედ. (2—197—2)

---

**ნინო ნიკოლოოზის ასული ჯამბაკურიან ორბელიანისა,** შვილები მისი **ალექსანდრე, დიმიტრი და თამარ ჯამბაკურიან-ორბელიანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ძვირფასისა და დაუვიწყარის დედის დისა და დიდ დედის

**ნინო ვასილის** ასული **ფონ-გერშელმანისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრონ მიცვალებულის გვამის გამოსვენებას საკუთარის სახლიდან (ნიკოლოოზის ქუჩა № 66) შაბათს, შვიდ ივლისს, დილის 9 საათზედ, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ნიკოლოოზის ქუჩა) საიდამაც ცხედარი დასაკრძალავად წასვენებულ იქმნება ნემეცების სასაფლაოზედ.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 8 საათზედ. (2—198—2)

---

**თეკლა ჯამბაკურიან ორბელიანის ასული აბაშიძისა, ანასტასია ჯამბაკურ ორბელიანის ასული ჯავახიშვილისა, კიტა აბაშიძე და ივანე ჯავახიშვილი,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ძვირფასის და დაუვიწყარის დიდ-დედის

**ნინო ვასილის** ასული **ფონ-გერშელმანისა,**

სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრონ მიცვალებულის გვამის გამოსვენებას საკუთარის სახლიდან (ნიკოლოოზის ქუჩა, № 66) შაბათს, შვიდ ივლისს, დილის 9 საათზედ, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (ნიკოლოოზის ქუჩა), საიდამაც ცხედარი დასაკრძალავად წასვენებული იქნება ნემეცების სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 8 საათზედ (2—199—2)

---

## რესტორანში „ფუნიკულერის"

ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანოროს ლოტბარობით. (20—193—2)

---

## კახელ მევენახეთა საზოგადოების „კახეთის"

გამგეობა აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ ჟამად საზოგადოებას ბლომად აქვს გასასყიდი ბოთლებით ღვინო. მსურველმა უნდა მიმართოს საზოგადოების კანტორას ერევნის მოედანზე და მთავარ საწყობს კოჯორის ქუჩაზე. (3—200—1)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**ვანიბა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—81)

---

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—8)

---

## ქუთაისში

ექიმი მაჭავარიანი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—37)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო**—შინ. სნეულ. დროებით წავიდა ქალაქიდან.

**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ასპიზოვი**—ყურ. ყელ. და ცხვირის დროებით წავიდა.

**უალამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

**ინაევი.** ქალისა, დროებით წავიდა.

**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველ დღე 1—3 ს.

**ზოყოვსკი**—შინ. ზთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

**ექიმი ქალი იოზელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

**პივარსკი**
**ჩუდნოვსკი** } კლინიკ. ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—8)

---

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.

**მიხეილ აბაშიძისა:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ლომოურიშვილი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ბულიჩოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. გიმონგი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ზ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძ[illegible] კადო პალატაში და ცალკე ნომრებ[illegible] (10[illegible]ალ.—88)

---

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თგ.)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—130)

---

**კელა** გოგიური საბჭო ქუთაისის რეალურ სასწავლებლისა აცხადებს შემდეგს: მისაღები გამოცდა მოსამზადებელ და პირველ კლასებში და მოწმობებზე დანიშნულია 20—31 მარიამობისათვის. დანარჩენ კლასებში ვაკანსია არ არის. თხოვნები საჭირო საბუთებით მიიღება 14 მარიამობისთვემდის. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვეს. (3—5.—3)

---

## ტფილისი, 7 ივლისი

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ გაზაფხულს, როცა მეორე სახელმწიფო სათათბირო იწყებდა მუშაობას, ტფილისში კერძოთ შესდგა კომისია, რომელმაც ითავა კავკასიის [illegible] ხაზის აგრარულის რეფორმის ან [illegible] ის პროექტის შემუშავება. [illegible] ქონდათ, კომისიის პროექტები მიეწვდ[illegible] ათ სათათბიროს კავკასიელ წევრთათვის სახელმძღვანელოდ... ვინც იცის, რა ღარიბია ჩვენის ქვეყნის შესახები აგრარული ლიტერატურა, რა ცოტა ცნობები გვაქვს შეკრებილი და შემუშავებული ამ მხრივ და, მეორეს მხრით, როგორ რთულია და ნაირ-ნაირი ჩვენს ქვეყანაში აგრარული საკითხი,—იმისთვის ცხადია, რომ კომისიამ სასარგებლო საქმე ითავა. მაგრამ განზრახვა ერთია, მისი ასრულება-კი სულ სხვაა. ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ასეთ რთულისა და მძიმე საქმის აღსრულება, როგორც კავკასიაში არსებულ აგრარულ საკითხთა გამოკვლევაა, არ ძალუძს არავითარ კერძო კომისიას. ნამდვილადაც ასე ხდება.

კომისიას საკმაოდ ფართო პროგრამა დაუსახავს შესამუშავებლად. როგორც სჩანს, გაზეთ „ზაკ."-ში გამოქვეყნებულ ანგარიშიდან, კომისიას განსახილველად აურჩევია შემდეგი საკითხები: 1) დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმება საქართველოში; 2) იგივე საქმე განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში; 3) მიწათ-მფლობელობის საქმის გამორკვევა ბათუმის, დაღესტნისა და ზაქათალის ოლქებში; 4) ხიზნები; 5) ყულუხის უფლება; 6) სერვიტუტები: ტყით და საძოვრებით სარგებლობა; 7) მიწის იჯარის საქმე: 8) მიწის რაოდენობა და მცირემამულიანთა მდგომარეობა; 9) სახაზინო გლეხთათვის დამატებით ნადელის მიზომვა; 10) მიწის ფონდის დაარსება სახაზინო, კერძო მემამულეთა და სხვა მიწებისაგან; 11) გადასახლების საქმე; 12) გადასახადთა და ბეგარის საქმე; 13) სასოფლო მეურნეობის საქმე კავკასიაში და სხვა და სხვა. როგორც ხედავთ პროგრამა დიდია და თითქმის სავსებით შეეფერება კავკასიაში აგრარულ საკითხის სისრულესა და სირთულეს. გადაწყვეტილი ჰქონიათ, რომ კომისიის თითოეული წევრი აირჩევს ერთ-ერთ საკითხს, შეიმუშავებს მას და წაუდგენს კომისიას [illegible] აპრილში შემდგარ კომისიას დღემდის მხოლოდ ერთი მოხსენება მოუსმენია, სახელდობრ ბ-ნ როდიჩევ-ბელევიჩისა: გლეხთა განთავისუფლება კავკასიაში და დროებით ვალდებულობის ინსტიტუტი. გარდა ამისა კომისიის ოთხ წევრს უკისრია კიდევ ოთხის საკითხის გარჩევა მომავალ შემოდგომისთვის და მოხსენებათა წარდგენა. „დანარჩენი საკითხებიო, ამბობს ანგარიში, ალბათ სხვა წევრებისაგან იქნება აღებული, თუმცა კომისიის ბიუროს ჯერ არავისგან არ მიუღია პასუხი თავის შეკითხვებზეო"...

ეს არის დღემდის კომისიის მუშაობა: ერთი მოხსენება, ოთხი დაპირება და დანარჩენების შესახებ გამოურკვეველი მდგომარეობა. ჩვენ ვშიშობთ, რომ კომისია დიდხანს უცდის კიდევ პასუხს თავის შეკითხვებზე და, ბოლოს, ნაკისრ საქმის აღსრულების გადადება მოუხდება „სხვა უფრო მოხერხებულ დრომდე"... ესეთი ბოლო დაწყებულ საქმისა არც გასაკვირალი, არც მოულოდნელი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ, ვიმეორებთ, საქმე ერთობ დიდი და რთულია. რომ რამე წინასწარი მუშაობა ყოფილიყო, რომ შესაფერის საზოგადოებრივ და ოფიციალურ დაწესებულებათ მასალა მაინც შეეგროვებინათ, მაშინ კომისიის საქმე არ იქნებოდა მეტად ძნელი და რთული. ჩვენში-კი არავითარი მუშაობა ამ მხრით არ ყოფილა. ერობა ჩვენ არ გვაღირსეს, რუსეთში კი სწორედ ერობამ შექმნა მდიდარი სტატისტიკურ-ეკონომიური ლიტერატურა და ყოველმხრივ შეისწავლა მიწათ-მფლობელობისა და, საზოგადოდ, აგრარული საკითხი. კერძო კომისია, რა მრავალ-რიცხოვანიც უნდა იყოს იგი, ვერ შესძლებს საჭირო მასალის შეგროვებასაც და მათ შემუშავებასაც. ძალაუნებურად მისი მუშაობა დაბრკოლდება, ხოლო რასაც გააკეთებს, მასაც უფრო თეორეტიული, განყენებული ხასიათი ექნება და არა მტკიცედ დასაბუთებულის გამოკვლევისა, რომელიც უთუოდ უნდა იქმნას დამყარებული სინამდვილის ყოველ-მხრივ შესწავლაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საქმე რიგიანად ვერ გადაწყდება, სანამ ჩვენში ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა არ დაარსდება. მხოლოდ მას შეეძლება ფართოდ მოაწყოს მასალის შეგროვებაც; და საკითხის ყოველმხრივი შესწავლაც; ამისათვის საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაციასაც უკეთ მოაწყობს, სახსარსაც გამოსძებნის. კერძო კომისიებსა და კერძო პირთ არ შეუძლიათ იკისრონ ისეთ საქმის აღსრულება, რომელიც სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივ დაწესებულათ უნდა ეკეთებინათ თანდათან.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არ ეღირსა სახელმწიფოს ნორმალური მუშაობა და ყურადღება; ჯერ ხანად პოლიცია, ბიუროკრატია არის ერობაც, მისი მზრუნველიც და პატრონიც და, ბევრიც რომ ეცადნენ კერძო პირები და კომისიები, ასეთ ყოფასა და მდგომარეობაში ვერაფერს თვალსაჩინოს ვერ გააკეთებენ.

## ახალი ამბავი

✦ **შეცდომით მკვლელობა.** ამას წინად შეუმჩნევიათ, რომ სათავად-აზნაურო ქარვასლის სახურავზე, სასახლის ქუჩაში, ვიღაც უცნობი დადიოდა თურმე. რევოლვერის ხმაც რამდენჯერმე გაუგონიათ. ამიტომ ქარვასლის გამგე ადმინისტრაციამ საგანგებოდ პოლიციელი დაიქირავა და ქარვასლის სახურავზე დააყენა, რომ თვალ-ყური ედევნებინა. 5 ივლისს ღამე ნამესტნიკის სასახლის ბაღიდან, როგორც ამბობენ, კაზაკს შეუნიშნავს, რომ ვიღაცა სახურავზე დადიოდა, ბოროტ-მოქმედი ჰგონებია, თოფი უსროლია და იქვე მოუკლავს. მოკლული დაქირავებული პოლიციელი ალექსი [illegible]

✦ **სამხედრო საოლქო სასამართლო.** ტფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს მარტყოფის მცხოვრებნი ალექსი იორდანაშვილი, ვანო ეპიტაშვილი და დათიკო ბანეთაშვილი. ამათ ჰბრალდებათ მარტყოფის მამასახლისის ბერიშვილის მოკვლა.

✦ **ახალი ჯგუფი.** ტფილისში დაარსდა ახალგაზდათა ჯგუფი. ჯგუფს აზრათა აქვს მიიღოს საშუალო განათლება. ამ დღეებში ამ ჯგუფმა მიმართა ქარ. შ. წერა კით. გამავრც. საზოგადოებას დახმარება აღმოუჩინოს წიგნებით და საზოგადოებამაც აღუთქვა.

✦ **სამი საათით დაპატიმრება.** 5 ივლისს პოლიციამ დააპატიმრა გაზ. „დილის" თანამშრომელი მ. კინწურაშვილი, მაგრამ სამი საათის შემდეგ ისევ გაანთავისუფლა.

✦ **ბოქაულის თანაშემწის მოკვლა.** 4 ივლისს, საღამოს 6 საათზე, თავისს სახლში ხანჯლით მოჰკლეს ქ. ერევნის ბოქაულის თანაშემწე რნაევი. ეჭვი ერთ კაცზე მიიტანეს და დააპატიმრეს.

✦ **ტფ. გუბერნიიდან გაძევება.** აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება ალექსანდრე ბარამაშვილს, ნიკოლოოზ ათანასიშვილს, რომელთაც აბრალებენ აგიტაციას ხუროებსა, მღებავებსა და სხვათა შორის, მ. ლიტვინოვს, ალი მამედ-ოღლის, აღმედ-ალი-ოღლის, ხალილ-ჰაჯი-ბაბა-ოღლის და ნოე მინდაძეს.

✦ **ქალაქის სამუშაოთა მოიჯარადრის ალაგმვა.** ქალაქის სამუშაოთა მოიჯარადრე ხშირად დროზედ ფულს არ აძლევდა მუშებს და ამიტომ ქალაქის გამგეობაში მუშებისაგან ბევრი საჩივარი შედიოდა. ახლა ქალაქის გამგეობას ხელწერილი ჩამოურთმევია მოიჯარადრისათვის, თუ მუშებმა კიდევ იჩივლეს, ჩვენ თვითონ გავუსწორდებით და ფულს მოიჯარადრის ხვედრისაგან გამოვრიცხავთო.

✦ **ჩრდილოეთში გადასახლება.** ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით, ვიატსკის გუბერნიაში გზავნიან: სამი წლით კურუმ-სულუს და ავეტიქ ტერ-სარქისოვს

—აღმოაჩნდათ იარაღი; სამხედრო წესების მოხსნამდე—ტიგრან ოჰანოვს და ბაგრატ პერიკჩიანცს; პირველს აბრალებენ მუქარით ფულის დატყუებას, მეორეს რევოლვერი აღმოაჩნდა; ასტრახანის გუბერნიაში: სამხედრო წესების მოხსნამდე თომა ცუხიშვილს, მეიერ მაშიაშვილს და სელივან სუბატაშვილს, რომელთაც აბრალებენ მუქარის წერილებით ფულის დატყუებას; ნინია უთიაშვილს, რომელსაც აკრძალული ჰქონია ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება, მაგრამ იგი მაინც მოსულა.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მეშვიდე (მოზრდილთათვის) და მეცამეტე (მცირე-წლოვანთათვის) ნომრები. შინაარსი პირველ ნომრისა: „სურათი“, ლექსი დ. თომაშვილისა; „უსურვაზის დასჯა“, მოთხრობა ვაჟა-ფშაველასი; „მადლიერი წადები ზღაპარი“, თარგმანი ა. ყუმისთაველისა; „ობოლი“, გ. ახალციხელისა; „მზითვის დანგარი“, მოთხრობა უიდასი, თარგმანი ვაჟა-ფშაველასი; „იმიერ-საქართველო და სამცხე“ (ლევან დადიანის დროს), დ. კარიჭაშვილისა; „ფიზიკა და ქიმია“, ზაალიშვილის რედაქციით, თარგმანი ნ. დომბურისა; „მითოლოგია“, ა. მიქაბერიძისა; და ნარევი.

შინაარსი მეცამეტე ნომრისა: „ლექსი“, ისამანისა; „მშიშარა ანიკო“, მოთხრობა ცქვიტისა; „გირის თავგადასავალი“, თარგ. ნინო ყიფიანისა; „მძარცველი“ იგავი, ალ. მირიანაშვილისა; „პირუტყვების გონიერება: დათვი და ბიჭი“, თარგმანი ნინო მაჭავარიანისა; „ლომი და მელია“ იგავი, დ. ბ—ისა; გასართობი.

✦ ტფ. ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო საკრებულოს წინაშე, იძულებულ ჰყოს ნავთის საწყობის „სვეტი“-ს პატრონი ტერ-აბრამოვი, რომ საწყობი მე 10 ნაწილიდან ქალაქ გარედ გაიტანოს. საწყობი საშიშია, ცეცხლი რომ გაუჩნდეს, დიდი უბედურება დატრიალდებაო.

✦ ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით, დაკეტეს დუქნები ტფილისში სამსონ ცახისელისა და კაკაბეთში (სიღნაღის მაზრა) ლევან პავლეაშვილისა. ამ უკანასკნელს ამას გარდა, გადაუწყვიტეს სამი თვით დაპატიმრება.

✦ როგორც ყვირილიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ უფროსის განკარგულებით, იარაღი აუყრიათ და პოლიციის ზედამხედველის ქვეშ მიუციათ შორაპნის მაზრაში ცნობილი სოკრატ აბაშიძე და ვარდენ საყვარელიძე.

✦ 5 ივლისს შუადღეზე ელისაბედის ქუჩაზე ვლადიმერ ხოვრენკოს სახლიდან მოიპარეს 1000 მანეთის ნივთები.

✦ ლუიზა მადერის ლუდის დამტარებელს ბაღდავანიძეს ნავთლუღში ჩითახოვის ბაღის პირდაპირ ოთხი უცნობი თავს დაესხა, რევოლვერი მოუღერა, 70 მანეთი წაართვა და მიიმალა.

✦ 5 ივლისს, ღამის 12 საათზე, ვიღაც ვაჟბატონებმა ქურდობა განიზრახეს ავჭალის ვიწრო ქუჩაში მთვარელიშვილის სახლში ღია ფანჯარასთან ერთი მეორეს მხრებზე დაადგა და ის იყო ფანჯარაში უნდა შემძვრალიყო, როდესაც მდგმურებმა შემჩნიეს. გამოუდგნენ, ავჭალის მოედანზე დაიჭირეს და პოლიციას გადასცეს!

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქ—ნა ეკატერინე აბაშიძე-ერისთავისას, რომელიც შევიდა ჩემს მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში და ამ წლის 14 ივნისს ქ. ქუთაისში, „საოჯახო ბაღში“, გამართა ჩემ სასარგებლოდ სეირნობა-ალეგრა. სეირნობიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 120 მანეთი. ამ ფულიდან დაპირებისამებრ 35 მანეთი გადაეცა ჩემდამი რწმუნებულს აცანის (გურიაში) სოფლის სკოლას. ულრმეს მადლობას ვუძღვნით აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ქ—ნა ერისთავისას ხელი შეუწყეს სეირნობის გამართვაში, და იმ პატივცემულ საზოგადოებას, რომელმაც თავისი წვლილი არ დაიშურა ავადმყოფ მასწავლებლის დასახმარებლად. აცანის სკოლის მასწავლებელი თამარა კალანდაძე“.

—

**შეცდომის გასწორება** „ისრის“ გუშინდელ ნომერში (145) დაიბეჭდა წერილი ამ სათაურით „დებატები“. ქვეშ შეცდომით მოწერილი ჰქონდა „წერილი გორიდან“. უნდა ყოფილიყო: „წერილი გურიიდან“.

## პატარა ფელეტონი

### სევდიანი მოგონება.

გადავსინჯე სატახტო ქალაქების პრესსა და გულს სევდა მომეფინა. ყველაფერს მკვდარი ფერი აძევს და სარდაფში ამოსულ სოკოს მოგაგონებს. სიტყვები და მხოლოდ სიტყვები, უხალისო და უფერული. მწერლებს ეტყობათ რაღაც იდუმალი ფიქრების გამოთქმის წადილი, მაგრამ ძალ-ღონე, გამბედაობა არ შესწევთ და უიმედობა მძიმე ლოდივით გულზე დაწოლიათ.

ამას წინად ხელში ჩამივარდა ცნობილ სატირიკოსის სალტიკოვ-შჩედრინის ერთი ნაწერი და სწორედ გამოიცა იმისმა ტალეირანისებურმა ნიჭმა. როგორც ვიცით, [illegible] დიპლომატმა ტალეირანმა საქვეყნოდ გამოაცხადა, ადამიანისათვის ენა იმიტომ მიუნიჭებია ღმერთს, რომ თავისი აზრები დამალოსო. შჩედრინის ნაწერი—აშკარა წადილია თავის აზრების დასამალავად, ხოლო არა იმ აზრით, როგორც ეს ტალეირანმა გამოსთქვა: შჩედრინს სურს თავისი აზრები მკითხველისათვის ნათელ ჰყოს, მთავრობას კი დაუმალოს. თვითეულ სტრიქონს ნათლად ატყობთ მწერლის მძიმე ორჭოფ მდგომარეობას; აშკარად ჰხედავთ, რომ იგი ნიჭიერი ადამიანია, რადგან დიდის გამჭრიახობით და მოხერხებულად ჰმალავს თავის აზრს და ამავე დროს აბეზარ მოწყენილობას არა ჰგრძნობთ, არამედ ჰგრძნობთ სევდას, მწუხარებას, იმის [illegible]ულს, რომ ნიჭიერი მწერალი, მკვეთრად მოაზრე ადამიანი ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ თვალ-წინ მუდამ ჟამს ტლანქი ძალის აჩრდილი უდგას და იმის ცოცხალ კალამს სულს ართმევს. თქვენ გეცოდებათ ასეთნაირად დაჩაგრული ადამიანის უძლეველი ნიჭი, იმისი გონება, რომელიც თავისუფალ ასპარეზს თხოულობს; გებრალებათ ადამიანის ფიქრი, იმის აზრი, რომელსაც ბუნებით სწყურია თავისუფლება, რადგან უამისოდ იგი ვერ ცოცხლობს, თანდათან იხრწნება და საცოდავად ილევა.

წიგნის თვითეული ფურცელი ნათლად გეუბნებათ, რამდენი საგულისხმიერო რამ შეეძლო ეთქვა მწერალს და რამდენი სულიერი ძალ-ღონე და გამჭრიახი ნიჭი შეალია იმან თავისი აზრების დამალვას.

შჩედრინზე ვიღაცამ სთქვა, იმის სიცოცხლე ცენზორის წითელმა მელანმა შეამოკლაო. ეს სამწუხარო ჭეშმარიტებაა.

მკვეთრი დაცინვა, აზრიანი ოხუნჯობის სხივი აქა იქ გამოკრთის შჩედრინის ნაწერებში და სამუდამოდ აღებეჭდება ადამიანის გონებას. მაგრამ აქაც გრძნობთ, რომ მწერალი იძულებულია ალაგმოს ეს თავისი ღვთიური ნიჭი და ვიწრო ასპარეზზე მოათავსოს იგი. აქაც თვალ-წინ ეხატება იმისი სიცოცხლის მომშხამავი და ალკვეცილი წითელ-მელნიანი კალამი.

მაგალითად, განა დაუვიწყარი არაა შჩედრინის მიერ აწერილი ორი მოხელეს საუბარი კლასიკურ და რეალურ სწავლა-განათლების შესახებ? თქვენ თვალ წინ ეხატება არა ორი ადამიანი, არამედ დრომჭამი ადამიანის თანამდებობის აღმასრულებელი ორი საბრალო ორ-ფეხა გვამი, რომელთა თვითეული სიტყვა მოშიშარი და თითქო მთავრობისაგან ნება-დართულია. საცოდავად ატრიალეს ამ მოხელეებმა საკითხი კლასიკურ თუ რეალურ განათლების შესახებ; ვერც ერთი ვერ ამჯობინეს და ბოლოს შემდეგი დაასკვნეს. ამ საკითხის გადაწყვეტა სავსებით მთავრობას უნდა მიენდოს, რადგან იმან ყველაზე უკეთ იცის, თუ რა ეჭირვება ჩვენ დიდებულ სამშობლოს. ყველა ერთგულმა ქვეშევრდომმა მხოლოდ იმას უნდა უცადოს, თუ რანაირი იქნება მთავრობის განკარგულება. თუ იგი კლასიკური იქნა, ასრულებაც კლასიკური უნდა იქნას, და თუ რეალური—რასაკვირველია რეალურად უნდა შესრულებულ იქნას. დღევანდელ დღეს, მომავალ მესამე სათათბიროს წინაშე განსაკუთრებით ვგრძნობთ ამ სიტყვებში მკვეთრად გამოთქმულ სატირას: მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ეს დაწესებულება მორჩილებით მხოლოდ იმის ხმას უსმენდეს: მთავრობის კლასიკური განკარგულება კლასიკურად შეასრულოს, რეალური კი—რეალურად განახორციელოს.

**ი. ნაკაშიძე.**

## პრესსა

უკიდურეს მემარჯვენეთა და შავ-რაზმელთა დღევანდელმა მოქმედებამ და ლალადმა ოქტომბრისტებიც კი გამოიყვანა მოთმინებიდან. ამათი ლიდერი ა. გუჩკოვი,—ის გუჩკოვი, რომელმაც შარშან სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღება მოიწონა და სტოლიპინის ყოველ ნაბიჯს მხარს უჭერდა, დღეს სხვა ჰანგზე ცდილობს სიმღერას. შავრაზმელებიო, სწერს თავის გაზეთში გუჩკოვი,

მთავრობას ურჩევენ უფლების განმტკიცებას არა საზოგადოებრივ თანაგრძნობისა და კანონის ნიადაგზე, არამედ ფიზიკურ ძალაზე, რომელსაც გარეშე მტერივით ხალხი დაუპყრია მთავრობა, მათის ფიქრით, ის გარეშე ძალა უნდა იყოს, რომელიც ხალხს იპყრობს როგორც მტერი და რომლისადმი ხალხი სიძულვილის მეტს არაფერს არ უნდა გრძნობდეს. რაღაც სრულუფლებიანი და ყოვლის შემძლებელი ოლიგარხია იდუმალის გზებით მიჰპარვია ტახტს და მეფის ნდობა დაუპყრია; ვიღაც აბსოლიუტისტურ ადგილობრივ მმართველთ ჩაუგდიათ ხელში სრული უფლება და თავის ნება-ბრძანებას უკარნახებენ მცხოვრებთ!.. ასეთ პოლიტიკურ სისტემის მოწონება და დაცვა შეუძლიათ მხოლოდ ბრმებს, რომელნიც ვერ ხედავენ იმ უნდობლობას, რომლით გამსჭვალულია რუსის ერი მთავრობისადმი... ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ განსაკუთრებულს გარემოებებში მთავრობას ნება აქვს საგანგებო ღონისძიებანი მიიღოს და საგანგებო უფლებებით შემოსოს თავის აგენტები მშვიდობიანობის აღსადგენად. მაგრამ, ზომა უნდა იყოს ყველაფერში! განა შესაძლებელია ისეთი მთავრობის არსებობა, რომელიც გარეშე მტერსავით ეპყრობა ხალხს და არავითარ ანგარიშს არ უწევს არც მის აზრს, არც მის სურვილსა და არც მის მოთხოვნათ?!. მართალია, ჩვენს ქვეყანას ეჭირვება ძლიერი მთავრობა; მაგრამ ძლიერი ის მთავრობა-კი არ არის, რომელიც ფიზიკურ ძალზეა დაფუძნებული, არამედ ის, რომელიც ხალხის თანაგრძნობას მოიპოვებს და მის ნდობას დაიმსახურებს. უმისოდ არ შეიძლება რუსეთის სახელმწიფოს ხსნა მძიმე კრიზისაგან...

ასეთის კილოთი ალაპარაკდა დღეს ოქტომბრისტი გუჩკოვი. მაგრამ „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“, ამბობს ჩვენებური ბრძნული ანდაზა: ოფიციალური გაზეთი პარტიისა და მისი ლიდერი ამას სწერენ, ხოლო იმავე დროს პარტიის ორგანიზაციები ყველგან რუსეთში კავშირსა და ბლოკს ჰკრავენ „ჭეშმარიტ რუსთა“ ორგანიზაციებთან. ალბათ, რაიმე საარჩევნო ფანდია ეს ლიბერალური ფრაზები ოქტომბრისტების ლიდერისა.

## სოფლის მასწავლებელთა ბანაკიდან

(პირველი და უკანასკნელი პასუხი ბ-ნ „სოფლის მასწავლებელს“).

ჩემმა წერილმა, „ისრის“ მე-133 ნომერში მოთავსებულმა, გამოიწვია ბ-ნ სოფლის მასწავლებელის წერილი (იხ. „ისრის“ № 140), რომლის დედა აზრი დამყარებულია იმაზე, რომ მასწავლებლის და სკოლის გარდასაქმნელად, თანახმად თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებისა, საჭიროა ჯერ მასწავლებლის ნივთიერ პირობების უზრუნველ-ყოფა საზოგადოებისაგან და შემდეგ თვით მასწავლებელნი ეცდებიან თავიანთ თავის განვითარებასაო. კერძოდ მეო,—განაგრძობს ავტორი.—სანამ ჩემ ცოლშვილს არ მიმყოფებთ მაძღრად, მანამ თოკით თუ წამათრევთ, თორემ ისე ვერ გიახლებით თქვენ კურსებზეო.

სწავლა-განათლების საქმით დაინტერესებულია თანამედროვე რუსეთში როგორც მდიდართა*), ისე ღარიბთა კლასი. როგორც პირველი, ისე მეორე სცდილობს ხალხის განათლებაზე. ორივე კლასი დაინტერესებულია კულტურის წინ მსვლელობით, რისთვისაც საჭიროა ცოდნა. ორივე მიისწრაფვის სწავლა-განათლების პროგრესიულ ნიადაგზე დაყენებისაკენ, ხოლო იმ განსხვავებით, რომ პირველს შეაქვს სკოლაში სული კერძო საკუთრების განმტკიცებისა, ხოლო მეორეს იმის დარღვევისა. დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც მართველად დემოკრატიული მთავრობაა, სწავლა-განათლების საქმეს თითქმის ეს მთავრობა განაგებს, ხალხის ინტერესების მიხედვით, ამიტომ იქ ძვირად მოიძებნება ისეთი განმანათლებელი საზოგადოება, რომელშიაც მთავრობაც არ ერიოს.**) საფრანგეთის რევოლიუციის დიდებულმა ფილოსოფოსმა კონდორსემ პირველმა შეიტანა გადემოკრატებულ საფრანგეთის კანონებში ახალი პრინციპი: „მოქალაქეთა სწავლა განათლების საქმის მოვალეობას შეადგენს სახელმწიფოს მთავრობაო“. რადგან თანამედროვე რუსეთს

*) სახეში მაქვს დემოკრატიული ბურჟუაზია.
**) იხ. ჟურ. «Образ.» № 8.

# ფელეტონი

## თანამედროვე საკითხები

(II*)

### ანარქიზმი.

წინა წერილებში ჩვენ მარქსიზმის მსოფლ-მხედველობასა და მის ტაქტიკას გავეცანით. რომ თანამედროვე სოციალისტურ აზრის მიმდინარეობის რაოდენადმე დამთავრებული და ყოველ-მხრივი სურათი გვქონდეს წარმოდგენილი, საჭიროა ანარქისტულ მსოფლ-მხედველობასაც გავეცნოთ და ვნახოთ, ეს მოძღვრება რანაირს იდეალს ისახავს და როგორის საშუალებით სურს ამ იდეალის განხორციელება.

ანარქიზმის მსოფლ-მხედველობას ამ ჟამად იმდენად შევეხებით, რამდენადაც იგი ჩვენ საკუთარ პოზიციის გამორკვევაში დაგვეხმარება; ანარქიზმის დაწვრილებითი განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა და ჩვენს მიზანს დაგვაშორებდა.

სანამ არსებითად დავიწყებდე მსჯელობას, არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ანარქისტული იდეები და ანარქისტული კონცეპცია არ არის ისე ჩამოყალიბებული ერთს სისტემად, როგორც მარქსიზმი. თვითოეული წარმომადგენელი ანარქიზმისა ყოველ-გვარ საკითხს თავისებურადა ხსნის; ისეთს ძირითადს საკითხებზედაც კი, როგორიცაა, მაგ., კერძო საკუთრება, სახელმწიფო, რეფორმიზმი, თვითოეული მათგანი ხანდისხან ერთი ერთმანეთის დიამეტრალურად მოწინააღმდეგე პასუხს იძლევა. ტოლსტოისა და პრუდონის იდეალისტური მოძღვრება, რომელიც რამდენიმე განყენებულ აბსტრაქტულ დებულებებიდან გამომდინარეობს, და რომლებიდანაც მერე გამოჰყავთ დასკვნა ეკონომიურს და იურიდიულს საკითხებზე, ბაკუნინისა და კრაპოტკინის მატერიალისტურ სისტემებს ეწინააღმდეგება, მაქს შტირნერის უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომელსაც ამ ქვეყნიურ ცხოვრებასთან არაფერი საერთო არა აქვს, და ოცნების სამეფოში დასცურავს, ძირითადად ეწინააღმდეგება თანამედროვე კომმუნისტურ ანარქიზმს, რომელსაც სოციალიზმთან უფრო მეტი კავშირი აქვს, ვიდრე შტირნერის ანარქიზმთან. ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ უკიდურეს რევოლიუციონერებს, რომელთაც არავითარი კომპრომისსი, არავითარი შებრალება არა სწამთ, და რომელნიც კატაბრიობას უსაშინელეს სამოქალაქო ომისაკენ იწვევენ, მეორის მხრით კი ზოგიერთი ანარქისტები მშვიდობიან, ქრისტიანულ ქადაგებაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს და რეფორმებით სურთ ანარქისტული იდეალის განხორციელება. გოდვინს, მაგალითად, სრულიად არა ჰქონდა გამორკვეული, თუ რა გვარ კონკრეტულ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს მომავალი საზოგადოებრივი წეს-წყობილება. გოდვინი გადაჭრით აცხადებდა: სახელმწიფოსა და საზოგადოების ცნებები ერთი-ერთმანეთს უნდა დავაშოროთ, რადგან პირველი ჩვენი ნაკლულოვანებათა ნაყოფია, მეორე-კი—ჩვენის მოთხოვნილებათაო. გოდვინის აზრით' გაუქმებულ უნდა იქმნას ყოველ-გვარი კანონმდებლობა, ყოველგვარი ფორმა სახელმწიფოსი, რადგან ერთიცა და მეორეც ადამიანის თავისუფლების შემზღუდველიაო, მაგრამ ამასთანავე ერთად აღიარებდა, რომ უნდა დარჩეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და საერო კრება, რომლებმაც სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციები უნდა შეასრულონო. ამ ინსტიტუტებს, გოდვინის აზრით, განსაკუთრებით პირველ ხანებში ძალ-დატანებითი უფლებები ექნებათ. არავითარ გარკვეულ პასუხს არ იძლევა გოდვინი კერძო საკუთრების შესახებაც. გოდვინი ჰგმობს დღევანდელ წეს-წყობილებას, მაგრამ იმისი ისარი, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით **კერძო საკუთრების უსამართლო განაწილებისაკენ იყო მიმართული, ვიდრე თვით კერძო საკუთრებისკენ, როგორც ინსტიტუტისკენ**. მაგალითად, გოდვინი ამბობს: როდესაც ამა თუ იმ მემკვიდრეობაზე პრეტენზიას ორი ან რამდენიმე ისეთი კაცი აცხადებს, რომელთაც სხვა და სხვანაირი შეძლება და მოთხოვნილებანი აქვთ, ეს მემკვიდრეობა მათ შორის **თანაბრად** უნდა იქმნას განაწილებული, მხოლოდ მათი **მოთხოვნილებანი** კი მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. საკითხის ამნაირად გადაწყვეტისაგან რაიმე გარკვეულ დასკვნის გამოყვანა ძალიან ძნელია. თუ საკუთრება თანაბრად უნდა იყოს განაწილებული, მაშინ მოთხოვნილება მხედველობაში ვეღარ იქნება მიღებული და თუ მოთხოვნილება მივიღეთ მხედველობაში, მაშინ თანაბრად განაწილება საკუთრებისა ვეღარ მოხერხდება, რადგან მოთხოვნათა მხედველობაში მიღება იგულისხმებს, რომ ინდივიდებს სხვა და სხვანაირი მოთხოვნილებანი ექნებათ: ზოგს დიდი მოთხოვნილებანი ექნება, ზოგს კი—პატარა. ეჭვს გარეშეა, რომ ამისთანა პირობებში საკუთრების თანასწორ განაწილებაზე ოცნებობაც ქი მეტია. ამიტომ, ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ გოდვინს თვით კერძო საკუთრების **გაუქმება** სრულიადაც არ სურდა. ის მხოლოდ საკუთრების უსამართლო **განაწილების** წინააღმდეგ იყო ამხედრებული და მომავლისაგანაც უსამართლობის გაუქმებას თხოულობდა.

გოდვინის აზრით, საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ ტრანსფორმაციისთვის არავითარი ძალა არ არის საჭირო. მისის აზრით, საკმარისია ადამიანები დავარწმუნოთ, რომ სახელმწიფო ფორმები, კანონები და საკუთრება იმ სახით, რა სახითაც ეხლაა, მავნებელია,—და ისინი მაშინვე უარს განაცხადებენ დღევანდელ წეს-წყობილებაზე და მშვიდობიანად ახალს ცხოვრებას შეუდგებიანო. რა თქმა უნდა, ასეთი აზრი შემცდარ აზრად უნდა ჩაითვალოს. ისეთი რადიკალური ცვლილება, როგორც გოდვინს სურს, თავის თავად, მშვიდობიანის საშუალებით ვერ მოხდება. გაბატონებულმა კლასსებმა ძალიან კარგად იციან, რომ საძაგელ საქციელს სჩადიან, მაგრამ თავიანთ ბატონობაზე უარს არ ამბობენ.

კერძო საკუთრების მომხრენი არიან აგრეთვე ტუკკერი და პრუდონი. ამ უკანასკნელის შესახებ მკვლევარნი სხვა და სხვანაირ აზრისანი არიან. დილისა და ელცბახერის აზრით, პრუდონი სრულიად უარჰყოფს კერძო საკუთრებას, ცენკერი კი წინააღმდეგს აზრს ადგია და ამტკიცებს, რომ პრუდონის ეკონომიურ მოძღვრებაში ბევრი ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული და მისი „ინდივიდუალური მფლობელობაც“ ნამდვილი კერძო საკუთრება არისო.

პრუდონი უარჰყოფს როგორც სახელმწიფოს, ისე კანონებს, მაგრამ იმ ხელშეკრულობის შესასრულებლად, რომელსაც ინდივიდები ურთიერთ შორის სდებენ, მარტო ჩვეულებანი კი არ უნდა იქმნას ხმარებული, არამედ სავალდებულო იურიდიული ნორმებიც. პრუდონი აღიარებს, კანონები უნდა გაუქმდესო, მაგრამ ამასთანავე აცხადებს: ის ინდივიდი, რომელიც საზოგადოებაში არ შევა და საზოგადოებას არ დაემორჩილება, ველურია და ამიტომ სასტიკად უნდა ისჯებოდეს ხოლმე, ამისთანა კაცის მოკვლაც კი შეიძლებაო.*) რით არ არის ეს კანონმდებლობა, მკითხველო? ნუ თუ მარტო იმიტომ, რომ ქაღალდზე არ არის დაწერილი და მის აღსასრულებლად განსაკუთრებული ორგანო არ არის მიჩენილი?

მიუხედავად იმისა, რომ პრუდონი პრინციპიალურად სახელმწიფოს უარჰყოფს, მომავალ წეს-წყობილების ისეთს გეგმას გვაძლევს, რომელიც სახელმწიფოებრივ ფორმებისაგან არსებითად არ განსხვავდება. პრუდონის წარმოდგენით, კერძო ერთეულები ადგენენ ჯგუფებს, ეს ჯგუფები ხელ-შეკრულებით ადგენენ უფრო მაღალ ტიპის ორგანიზაციას, ესენიც ერთმანეთს უერთდებიან და სხვ. ამისთანა ორგანიზაციაში, პრუდონის აზრით, არავითარი უზურპაცია არ არის, რადგან ყოველ ხელშეკრულების დროს თვითოეული ჯგუფთაგანი სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს და სრულიად თავისუფლად უერთდება მეორე ერთეულს და ჯგუფსაო. პრუდონის აზრით, მომავალ წეს-წყობილებაში მოხელეებიც უნ-

*) იხ. „ისარი“ № 135

*) იხ. პრუდონი: idee generale, გვ. 342—343. მომყავს კულჩიცკის წიგნიდან.

განაგებს დრო-მოჭმული ბიუროკრატია, რომელიც ღამურასავით გაურბის სინათლეს, ამიტომ აქ მაჯის-ცემა საზოგადოებისა სწავლა-განათლების საქმეში ცოცხალი და ელვასებრ სწრაფია. მოწინავე საზოგადოებამ, კლასთა განურჩევლად, ბიუროკრატიის გვერდზე მიგდებით, მიჰყო ხელი სხვა და სხვა განმანათლებელ საზოგადოებათა დაარსებაში, რომელთა მიზანია სხვა და სხვა სახით დაეხმაროს სწავლა-განათლების საქმეს. ამ განათლების გასავრცელებლად ხალხში არ ერიდებიან ხარჯს პედაგოგიურ და სხვა კურსების მოწყობისთვის. პოლონეთი და ფინლიანდია დიდხანია დაქსელილია ბადესავით განმანათლებელი საზოგადოებებით და ამიტომაც იქ უფრო მომწიფებულია და შეგნებულია ხალხი, ვიდრე ჩვენში ან შიდა რუსეთში. რუსეთში ამ ორი წლის წინად დაარსდა განათლების ლიგა, რომლის მოღვაწეობა ამ მცირე ხანში დიდად თვალსაჩინო იყო (ლიგა უკვე დაკეტა მთავრობამ).

ფართო ცოდნით აღჭურვილ მასწავლებლისთვის საზოგადოება ფულს არ დაიშურავს, რადგან მას ესმის, რამდენადაც მასწავლებელია განათლებით, განვითარებით და მოქმედებით მაღლა იდგება, იმდენად მისი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება. მასწავლებელი სოფლისთვის ექიმია, ლექტორი, მრჩეველი, მოსამართლე და სხვა, ერთის სიტყვით, იგი სოფლისა ყველაფერია, თუ შესწევს ამისთვის ცოდნა. ამნაირად ფართო ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი მალე დაიმსახურებს საზოგადოების სიყვარულს, პატივისცემას და აუცილებლად შეიქნება სოფლის სათაყვანებელ პირად. ცოდნის მიღებაში კი საზოგადო დაწესებულებანი დაეხმარებიან მასწავლებელს კურსების დაარსებით, როგორც ეს რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა კუთხეშია. გაიხსენეთ, რა დიდებული სახელი აქვთ დამსახურებული სამშობლოს წინაშე გერმანიის სახალხო მასწავლებლებს. ეს სახელი მათ მაშინ დაიმსახურეს, როდესაც ისინი 20 მანეთზე ნაკლებს იღებდნენ. ბ-ნი „სოფლის მასწავლებელი“ გვითითებს უბრალო მუშის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, ჩვენ კი მივუთითებთ მუშის დიდებულ ბრძოლაზე და ჩვენებურ მასწავლებლების მიუყოლობაზე. მუშამ თავისი განათლება ეკონომიური და პოლიტიკური სისტემატიურად მიიღო მუშათა პატარ-პატარა წრეებში. სოფლის მასწავლებელს არც პირველი და არც მეორე არსად არ მიუღია, თუ არა თვით-განვითარებით. თავის ცოდნის მიხედვით მუშამ შესძლო შექმნა პროფესიონალური კავშირები; ჩვენმა მასწავლებლებმა მუშების წაბაძვით შეჰქმნეს პოლიტიკური კავშირი, რომელიც შეიქმნა მსხვერპლი ბაბილონის გოდოლისავით არევ-დარევისა. მუშები პროფესიონალურ კავშირებით უმკლავდებიან „ხაზეინებს“, ბ-ნ სოფლის მასწავლებელს თავის 20 მანეთს რომ ყოველ თვიურად ჩამოუკლონ სხვებთან შეუერთებლად, კრინტსაც ვერ დასძრავს. ამნაირად, ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საჭიროა ცოდნა და ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება. როგორც მდიდარი და მუშა დაინტერესებულნი არიან კულტურის განვითარებასა და წინმსვლელობაში, ისე მასწავლებელი და საზოგადოება დაინტერესებულნი უნდა იყვნენ სწავლა-განათლების გავრცელებაში. როგორც მუშა არსებობის საკითხში შეურიგებელი მტერია კაპიტალისტისა და აარსებს იმის წინააღმდეგ პროფ. კავშირს, ისე მასწავლებელმა უნდა დაარსოს პროფ. კავშირი იმათ წინააღმდეგ, ვინც სიბნელით მოცვა მთელი სამყარო. როგორც მუშას თავის მდგომარეობის გაუმჯობესობაში არავითარი იმედი არა აქვს, გარდა თავის თავისა, ისე მასწავლებელს არავისი იმედი არ უნდა ჰქონდეს, გარდა თავის ცოდნისა და მოქმედებისა. რუსეთის იმპერიაში არ მოიძებნება საზოგადოების მიერ დაარსებული ისეთი საქველ-მოქმედო დაწესებულება, რომელსაც აზრად ჰქონდეს მასწავლებლის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ გვარად კუჭის საკითხის იმედი საზოგადოებაში როდია, არამედ ცოდნაში და პროფ. კავშირშია. ცოდნით მომქმედი კავშირი ადვილად გაივლის ეკლიან გზას, ხოლო უმეცრებით აღსავსე კავშირი ბევრ მწუხარებას იგემებს იმავე გზაზე. კავშირის გასაღონიერებლად, წევრთა სიმრავლის და ცოდნის გარდა, საჭიროა ფული, მაგრამ ის მასწავლებელი, რომელიც სინათლის შუქის შიშით სოროში შემძვრალია და იქიდან გამოგვძახის—შვილებს მიშიაო, გაუწევს ნივთიერ დახმარებას კავშირს?

დასკვნა: მასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა პროფეს. კავშირი, კავშირის პირველ ხანებიდანვე მტკიცე მოქმედებისთვის კი—ცოდნა და ფული. კერძოდ სოფლის მასწავლებელს: მასწავლებლების თბილ ადგილებისკენ ლტოლვილებას სავსებით მოსპობს სოციალიზმი, რადგან თანამედროვე ცხოვრებაში „рыба ищетъ гдѣ глубже, а человѣкъ гдѣ лучше“; ამასთანავე ბევრი ისეთი პირია მასწავლებლად, ცხოვრების უკუღმართ პირობების ძალებით წასული, რომ სრულიად ვერ ეგუება ამ მოწოდებას, მაგრამ თავისუფლების გამარჯვებისას, უკუღმართ პირობების (სალდათობა და სხვ.) გაქრობისათანავე გაჰქრებიან ესეთი მასწავლებლებიც. მშიერ ბავშვების დასანაყრად საჭიროა მასწ. პროფ. კავშირების მოძრაობაში ჩაბმა და თვით განვითარება, თუ კურსებისთვის ვერ მოიცლიან, თუმცა ეს უკანასკნელი ჩვენდა სამწუხაროდ და თქვენდა სასიხარულოდ, არა თუ საგუბერნიო ქალაქებში, კავკასიაშიაც არ არსებობს. ალბად საზოგადოებას უსმენია თქვენი ღაღადი—ჯერ უზრუნველ ჰყავით ჩემი მდგომარეობა და მერე ჩემივე ჯიბის საშუალებით ვისწავლიო. თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში იმდენს ქირას მშრომელს არ აძლევენ, რომ უზრუნველჰყოს ცხოვრება, ამიტომაც მშრომელნი მიისწრაფვიან სოციალიზმისაკენ.

ა. ხცურუა.

## პროვინციის ცხოვრება

**თელავი.** ჯერ ნახევარი წელი არც კია, რაც ქალაქის მამები ახლად აირჩიეს თანამდებობაზე და ეხლავე მეტად გულგრილობა ეტყობათ საქმეებისადმი. კრებებზე არ დაიარებიან, არჩეული კომისიები კრების მინდობილებას არ ასრულებენ და არც არასოდეს კეთდება. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ეხლა, რადგან, ახალგაზრდა ელემენტი მეტია გამგეობაში, ქალაქს წინსვლა დაეტყობოდა, მაგრამ შევცდით, ზოგიერთების საქციელი, ვისაც მუშაობა უნდა, იმასაც გულს უცრუებს. 15 რწმუნებულის და 3 კანდიდატის მაგიერ, მხოლოდ 13 კაცია არჩეული. ამათგანაც ხშირად [illegible] არის, ხან—სხვაგან და ქალაქის სხდომები ვეღარა სდგება ხოლმე. სხდომები თვეში მხოლოდ ერთხელ ინიშნება, მაგრამ მაშინაც არ ესწრებიან რწმუნებულნი. ერთ უკანასკნელ სხდომაზე მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა მოასწრეს. დაადგინეს: ქალაქში შემოტანილ და გატანილ საქონელს ბაჟი დაედოს, ფუთზე თითო კაპ., ზოგზე ნახევარი, იმ პირობით, რომ შემოსული ფული მოხმარდეს გზების მოწესრიგებას და სწავლა-განათლების საქმეს...

ქალაქის მოურავს მოუვიდა გუბერნატორის მიერ დამტკიცებული კომისიის დადგენილება ვაჭრობა-მუშაობის დროს განსაზღვრის შესახებ. თუმცა ეს ერთი თვე იქნება, რაც დადგენილებისამებრ იდებ იკეტება, მაგრამ ზოგი წინანდელ წესს ვერა დატოვებს.

ამას წინად ვწერდით შაბიამან-გოგირდის საწყობები მოადრეებით უნდა იდგებოდეს მეთქი, მით უმეტეს სეზონი უკვე თავდება. ვაჭრებს ისე გაუგიათ, ვითომ იმათაც ადრე უნდა გაადონ, რადგან შაბიამანს ჩვენცა ვყიდით. რასაკვირველია, ის წერილი განსაკუთრებით საწყობებს შეეხებოდა და არა სავაჭრო დუქნებს, სადაც სხვა საქონელთან ერთად შაბიამანიც იყიდება. რაც შეეხება იმას, ვითომ ნოქარ-შეგირდთ სამი ურემი გოგირდი ჩამოუცლევინოთ, ეს ასე არა ყოფილა. ერთი საწყობი სხვაზე ადრე გაღეთ და ერთ ურემზე უდგებდნენ თურმე, რაც დაუშლიათ, ვიდრე სხვანიც არ გაადებდნენ და მხოლოდ 2—3 ტომარა ჩამოუღიათ.

—ლი.

**სოფ. საქარა** (შორაპნის მაზრა). სათაბიროს დათხოვნას და სისასტიკეს დიდის აღტაცებით მიეგებნენ რეაქციონერნი. ამოძრავდა მთელი შავრაზმელთა ბანაკი და შეუდგნენ „სასიქადულო მოღვაწეობას“. ამას, რა თქმა უნდა, არ ჩამორჩა არც ვეირიდის ადმინისტრაცია და მაინც უწინდებურად გააფართოვა თავის მოღვაწეობის ასპარეზი. 22 ივნისს ცნობილმა კოდა ნემსაძემ დაიბარა სოფ. საქარის საზოგადოება და განუცხადა: „შეგვიძლია ამ ერთი კვირის განმავლობაში არ დაიხსნა მემამულეების მიწები, ეგზეკუციას ჩაგიყენებთ და კიდევაც დაგაჯარიმებთო“. ხალხი მოითხოვდა მემამულეებისაგან მიწების სამესამედოდ გაცემას, ანუ ექვს მანეთს ქცევაზე და სხვა. ხალხი უარზე დადგა, რადგან ხვნა-თესვა დაგვიანებულია და მასთან მიწა გამოფიტულიაო, მაგრამ ამაზე კ. ნემსაძემ უპასუხა, მიწები კირკით მოთოხნეთო. ამგვარმა მუქარამ, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია შეძლებულ გლეხებზე, რომელნიც დღემდისაც მტრულის თვალით უყურებდნენ „განმათავისუფლებელ“ მოძრაობას და მეორე დღესვე შეუდგნენ თესვას. გარდა ამისა კ. ნ—ძემ წინადადება მისცა თავადაზნაურობას და მემამულე გლეხებს, იარაღი სთხოვეთ მთავრობას, რადგანაც სოფლად ცარცვა-გლეჯაა გახშირებულიო.

არა ნაკლები „დვაწლი“ მიუძღვის საზოგადოების წინაშე საქარის საზოგადოების მამასახლისს ვასილ ფერაძეს. ამ ვაჟბატონმა გადააჭარბა მაზრის უფროსის ულდებეს, ფულის აღებაში ვერც სოკრატი და ვერც ვარდენი ვერ მოუდგება; ცემა-ტყეპაში ქართქაშაძესაც სჯობნის, დალაღათ ჰყავს არჩეული ნიკიფორე ჭიჭინაძე. შავბლუზიანი და ყაბალახიანი ყველა ტერორისტი ჰგონია და ვინც ჩაუვარდება ხელში, არ გაუშვებს.

რონჭა.

### არტელის დაარსების საჭიროება.

(წერილი რედაქციის მიმართ)

დიდიხანია საჭირო იყო და დღეს-კი თვალ საჩინოდ გახდა დაარსდეს საქართველოში საზოგადოება თავმდებობითა ანუ კავშირი თავდებითა. სახელის დარქმევა შეიძლება შემდეგში, ხოლო ეს საზოგადოება ანუ კავშირი აი რისთვის არის საჭირო და რა სარგებლობას მოუტანს აღებ-მიმცემთ და იმათ, რომელთაც სურთ შრომა პატიოსნური და სამსახური-კი ვერ უშოვნიათ უთავმდებობით.

დაარსდება საზოგადოება ანუ კავშირი იმ პირობით, რა პირობებითაც არსებობს რუსეთში რამდენიმე არტელი, რომელნიც თავიანთ წევრებს აყენებენ ამა თუ იმ საქმეზე—ხაზინადრებად, მოლარეებად, ნოქრებად ან სხვა რამე პასუხის მგებელ მოსამსახურეებად და ამასთან კისრულობენ პასუხის-მგებლობას ქონებით ან სხვა რამე ვალდებულებით. ამ კვიდრმა კავშირმა უნდა მიიღოს წევრები პირველად საწევრო ფულით, რომელიც შეადგენს დამფუძნებელ თანხას, ხოლო მოქმედების დაწყების შემდეგ უნდა მიიღონ ის პირნიც, რომელთაც არა აქვთ თანხა, ხოლო ამ თანხისათვის ფული გამოერიცხებათ.

რა თქმა უნდა მხედველობაში მე უფრო ისეთი პირები მყავნან, რომლებიც ვერ დამდგარან ადგილზე, რადგან არც თავდები ჰყავთ და არც ფული აქვთ სათავდებოდ. მით უმეტეს, ამ ბოლო დროს ისე გახშირდა მოწვევა მეარტელეებისა, რომ თითქმის პატარა სამრეწველო და სააღებ-მიცემო დაწესებულებანიც-კი აღარ იყვანენ ხაზინადრებს და სცდილობენ მოიწვიონ მეარტელენი, რომელთაც თავდებად უდგია საზოგადო დაწესებულება. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მივაქციოთ და დავაჩქაროთ ასეთის კავშირის დაარსება, რათა უფრო არ გამრავლდნენ უადგილონი. ჩვენშიაც ბევრნი მოიპოვებიან ისეთნი, რომელთაც სურთ სინიდისიერის შრომით ცხოვრება, მაგრამ მათ არ ვინ იცნობს, არა ჰყავთ თავდებნი. აი, ამისათვის არის საჭირო კავშირი რამდენისამე პირისა. დაარსებისათვის იმდენად დიდი თანხა არ არის საჭირო, რამდენადაც გულით მონდომება.

სოფრონ ტარუაშვილი.

P. S. იმედია კავშირის დაარსების მსურველნი აღმოჩნდებიან. ვთხოვ მათ, გვაცნობონ თავიანთი ვინაობა, რადგან დამჭირდება მათი მოწვევა მოსალაპარაკებლად და წესდების შესამუშავებლად ქ. ტფილისში. ჩემი ბინა სამსახურისა: Чіатура. Бухгалтеру Взаймнаго Кредита Софромію Гаврійловичу Таріелову.

### წერილი რედაქციის მიმართ

არც გაზეთშია ადგილი და არც მე მინდოდა ვისთანმე პოლემიკის გაწევა, მაგრამ დეკ. ხელაშვილის პასუხი იძულებული მხდის, გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, დასტამბოთ ჩემი წერილი. რადგან 1903 წ. [illegible] სასაფლაოს გამამშვენიერებელი სამზრუნველო დაარსდა, რომელმაც საქმის გასაძღოლად კომიტეტი აირჩია, კომიტეტს აქნობამდე არაფერი გაუკეთებია და ფული-კი ცოტა თუ ბევრი მოიპოვებოდა კასაში, იკრიბებოდა და კიდევაც იკრიბება. ამისთვის მივმართე იმის გამგეთ, გაეცნოთ საქმის ვითარება. ამის პასუხად გაზეთ «ისარ»-ში (№ 96) მოთავსებული იყო წერილი მღვ. შუიკაშვილისა და დეკ. ხელაშვილისა. პირველის პასუხით დაკმაყოფილებული ვარ, თუმცა მღვ. შუიკაშვილი სავსებით თავს ვერ გაიმართ-

და დარჩნენ, მხოლოდ ეს მოხელენი მცხოვრებლების მიერ უნდა იქმნან არჩეულნიო. მთლიანობის დასაცველად პრუდონი ცენტრის საჭიროებასაც აღიარებს, მხოლოდ ეს ცენტრალიზაცია ძირიდან უნდა მოდიოდეს. პრუდონი კანონმდებლობას პრინციპიალურად უარ-ჰყოფს, მაგრამ, მსგავსად გოდვინისა, მომავალ წეს-წყობილებაში არჩენს საერო კრებას, რომლის დანიშნულებაც ის უნდა შეადგენდეს, რომ საკანონმდებლო მიზნებს ემსახუროს და ამასთანავე ერთად ადმინისტრაციასაც კანტროლი გაუწიოს. **) რამდენისამე ხნის შემდეგ პრუდონმა ერთს თავის უმთავრესს თხზულებაში პირდაპირ განაცხადა, რომ საზოგადოებას სრულიად უავტორიტეტოდ არსებობა შეუძლიან; წმინდა ანარქია მხოლოდ იდეალია, მისი სავსებით განხორციელება ყოვლად შეუძლებელიაო.

კერძო საკუთრების შესახებაც, როგორც ზევითაცა ვსთქვი, ისეთი წარმოდგენა არა ჰქონდა, ვითომც მისი სრული გაუქმება მომავალ საზოგადოებაში შესაძლებელი იყოს. პრუდონს საჭიროდ მიაჩნია ისეთს საზოგადოებრივ წესწყობილების დამყარება, სადაც ისევ დარჩება ყიდვა-გაყიდვის უფლება, მემკვიდრეობა, ანდერძების უფლება და სხვა ამნაირები. 1848 წელს პრუდონი იმ აზრისა იყო, რომ მესაკუთრე ვერასოდეს ვერ გაჰქრება. პრუდონს ეგონა, რომ ადამიანს უკერძო საკუთრებად ცხოვრება ვერ შეეძლო, რადგან მისი შინაარსი და პრინციპი ადამიანის მთელი არსების განუყრელ ნაწილს შეადგენს. 1858 წელს პრუდონმა ისევ გაიმეორა ათის წლის წინად წარმოთქმული სიტყვები და უფრო გადაჭრით გამოაცხადა, რომ ის, რასაც მე ვთხოულობ, სრულიადაც არ არის კომმუნიზმი, მე პროტესტს ვაცხადებ იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩემს სახელს კერძო საკუთრების სხვა მტრებთან რევენო*). ყველა ზემოდ ნათქვამიდან ცხადზე უცხადესი ხდება, რომ პრუდონი დღევანდელ სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ ცხოვრების **ძირითად** ტრანსფორმაციაზედ სრულიადაც არ ოცნებობდა. მას სურდა მხოლოდ **შეეცვალა** როგორც სახელმწიფოებრივი ფორმები, ისე განაწილება კერძო საკუთრებისა. პრუდონის იდეალი, როგორც სამართლიანად შენიშნავს კულჩიცკი, იყო იდეალი წვრილ ბურჟუისა. პრუდონს ისეთისავე მშვიდობიანის საშუალებით სურდა განეხორციელებინა ანარქიზმი, როგორც გოდვინს. პრუდონს აზრადა ჰქონდა შეექმნა საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც საზოგადოებრივ ურთიერთობის რეორგანიზაციაში უპირველესი ადგილი უნდა ჰქონოდა.

თანამედროვე ანარქიზმის საუკეთესო წარმომადგენელი, პ. კროპოტკინიც, უარჰყოფს მომავალ წეს-წყობილობაში სახელმწიფოებრივ ფორმებს და ამბობს, რომ ანარქიასთან ერთად ანარქისტული კომმუნიზმიც უნდა იქმნას განხორციელებულიო. მომავალში აუცილებლად მოისპობა კანონი, მაგრამ არა უფლება. კანონის ადგილს დაიჭერს ხალხის ჩვეულებანი, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრების ბუნებრივ განვითარების შედეგად უნდა ჩაითვალოს, და არა ძალადობის გამომხატველ აქტადაო.*) როგორ უნდა მოეწყოს წარმოება? კითხულობს კროპოტკინი და შემდეგს პასუხს იძლევა: „თავდაპირველად უნდა გაკეთდეს ისეთი საგნები, რომლებიც ადამიანის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა მოზრდილმა, გარდა ქალებისა, რომელთაც შვილების აღზრდა უნდა ებაროთ, **ვალდებულნი გახდნენ** ოციდან ან ოცდა ორის წლიდან ორმოცდა ხუთს ან ორმოცდა ათ წლამდე იმუშაონ ყოველ დღე ხუთ-ხუთი საათი, და რომ თვითეულმა მათგანმა ისეთი სამუშაო აირჩიოს, რომელიც სურს, მაგრამ რომელიც საზოგადოებისთვის საჭირო ნივთების შექმნაში მიეხმარება.*)

ამ რიგად, თვითეული მოქალაქეთაგანი, კროპოტკინის აზრით, **ვალდებული** უნდა იყოს საზოგადო მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს. წარმოვიდგინოთ, რომ ვინმემ არ მიიღო თავის თავზე ასეთი ვალდებულება. ამ შემთხვევაში რას აპირებს კროპოტკინი? „მე წარმოდგენილი მაქვს ჯგუფი ისეთ პირებისა,—ამბობს კროპოტკინი,—რომელნიც შეერთებულნი არიან და საზოგადო საქმეს აკეთებენ; ყველა ერთგულად და მუყაითად მუშაობს, გარდა ერთისა, რომელიც თავის დროზე თავის ადგილას არ არის ხოლმე; საჭიროა თუ არა, რომ ამისთვის ჯგუფი [illegible] იქმნას, დაინიშნოს თავმჯდომარე რომელიც დააჯარიმებს მას ან კიდევ დამსწრეთა აღსანიშნავად განსაკუთრებულ ნიშნებს დანიშნავს. რა თქმა უნდა, მათ არც ერთი უნდა ჩაიდინონ და არც მეორე. ისინი უნდა მიუბრუნდნენ თავიანთ ამხანაგებს და უთხრან: „მეგობარო, ჩვენ ძალიან გვინდა შენთან მუშაობა, მაგრამ, რადგან ძალიან ხშირად შენს ადგილას არა ხარ ხოლმე, ან უგულოდ ასრულებ შენს მოვალეობას, ჩვენ უნდა ერთმანეთს დავშორდეთ. წადი და ისეთი ამხანაგები მოძებნე, რომელნიც შენს უსაქმურობას შეეგუებიან. **)

აქ ძალიან რბილად არის გამოთქმული ის, რაც ყოველნაირ ძალ-დატანების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს და რის წინააღმდეგაც ასე ძალიან არიან ამხედრებულნი ანარქისტები. ჯგუფიდან განდევნა საზოგადოების მხრით პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა და ძალ-დატანების ხმარებაა. ეს მაგალითი საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, თუ როგორ იქცევა ხოლმე მტვრად თეორია „პიროვნების აბსოლიუტურ თავისუფლების შესახებ“ ყოველთვის, როდესაც კი ცხოვრებას ჩავუკვირდებით და მის განსახორციელებლად პრაქტიკულ ზომებს გამოვძებნით.

რაიცა შეეხება კროპოტკინის იმ აზრს; რომ კანონის მაგიერობას ადათი და ჩვეულება გასწევს, ამას ორი მოსაზრება აბათილებს. ჯერ ერთი, იურიდიული ნორმები, დამყარებული ჩვეულებაზე, ვაცილებით უფრო კონსერვატიული იქნება, ვიდრე რაციონალურად შემუშავებული ნორმები. ევოლიუცია ამ ჩვეულებათა ისეთის სისწრაფით არა ხდება, როგორც ევოლიუცია საზოგადოებრივ ცხოვრებისა. „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, ამბობს ქართული ანდაზა; და ეს ჭეშმარიტებაც არის. ამიტომ საზოგადოების პროგრესს ვნება მოუვა, თუ მან ელასტიური რაციონალური იურიდიული ნორმები უარჰყო და მოუხეშავ, კონსერვატიულ ჩვეულებაზე დაემყარა. თუ უფლება აუცილებელია, იგი უსათუოდ რაციონალურს ნიადაგზე უნდა იქმნას დაყენებული; წინააღმდეგს შემთხვევაში კაცობრიობა პროგრესსის მაგიერად რეგრესს დაადგება. მაგრამ ვიგულისხმოთ ცოტახნობით, რომ ჩვეულებაზე დამყარება სასარგებლოა და რომ მომავალ წეს-წყობილებაში ადამიანთა ურთიერთობის მომწესრიგებელი მართლა ჩვეულება იქნება. ანარქისტები ხომ იმ აზრისანი არიან, რომ ობიექტიური პირობები იმდენად მომზადებულია, რომ ანარქიულ წეს-წყობილების განხორციელება შესაძლებელია. მართლა რომ ეს ასე მოხდეს, მაშინ ხომ საზოგადოება თავის ჩვეულებებით ისარგებლებს და ისეთს წეს წყობილებას, ისეთს ურთიერთობას დაამყარებს ადამიანთა შორის, რანაირსაც მისი ჩვეულებანი უკარნახებს. ამ შემთხვევაში ვეჭვობ, რომ მან სოციალისტური წეს-წყობილება განახორციელოს. ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ხანაში კომმუნისტური ჩვეულებანი ვერ დაიბადება. ეს აბსურდია. ამიტომ, თუ საზოგადოება ჩვეულების ანაბარად დავტოვეთ, სოციალურ რევოლიუციის შემდეგ, საზოგადოება სოციალისტურ წეს-წყობილებას კი არ განახორციელებს, არამედ ბურჟუაზიულ ცხოვრებას დაუბრუნდება.

რაიც შეეხება პიროვნების აბსოლიუტურ თავისუფლებას, იმას ყველაზე უკიდურესე დამცველად მხოლოდ მაქსი შტირნერი გამოდის. დანარჩენებმა კი, რომელთაც ამა თუ იმ სახით, მაგრამ მაინც-კი საჭიროდ მიაჩნიათ უფლება, პიროვნების განუსაზღვრელი თავისუფლება ალკვეცეს და ცოტაოდენად შემოფარგლულ წრეში ჩააყენეს.

არ. ჯ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

**) იხ. პრუდონი: Confession, გვ. 68.

*) ამ ცნობებს კულჩიცკის წიგნიდან ვიღებ. ა. ჯ.

*) იხ. პ. ელცბახერი: „Сущность анархизма“, II გვ. 97.

*) იხ. პ. ელცბახერი: «Сущность анархизма» II, გვ. 111.

**) იხ. პ. კროპოტკინი: „Завоеваніе хлѣба“, გვ. 141.

ლებს, მასაც, როგორც კომიტეტის წევრს, წი-
[illegible] სასადილოს აორგანება, მაგრამ რად-
გან ბრალდებულის როლში არ მინდა ვეცრინო,
[illegible]. რაც შეეხება დაც. ხელმწერის პასუხს,
ამაზე ცალკე შევჩერდები.

დაც. ხელმწერელი [illegible] [illegible]

P. S. [illegible]

# დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრ. სააგენტოსაგან)
6 ივლისი

რ უ ს ე თ ში.

**პეტერბურგი.** ვიბორგის მანიფესტის თაობაზე გამოძიება 3 ივლისს გათავდა და საქმე სასამართლოს გადაეცა. პასუხის გებაში მიეცემიან პირველი სახელმწიფო სათათბიროს 169 დეპუტატი სისხლის სამართლის კანონის მე-129 მუხლის ძალით. [illegible]

[illegible] არ იქმნება არც სახეში მიღებული და არც შეწყნარებული. სტუდენტთა კრებას სამოსწავლო ხასიათი უნდა ჰქონდეს, ან წესდებაში მოხსენებულ პირობათა ფარგალში უნდა სწარმოებდეს. ვინიცობაა, სტუდენტთა კრებამ საეჭვო ხასიათი მიიღო და ამაზე პოლიციას ცნობა მიუვიდა, პოლიციას უფლება აქვს ამბის გასაგებად თავისი მოხელენი გაგზავნოს და თუ პოლიციამ კანონი და წესიერება დარღვეულად სცნო, ნება აქვს ზომები მიიღოს წესიერების აღსადგენად და დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად. თუ კრების მოთავეთ სისხლის სამართლის კანონი დაარღვიეს, მაშინ პოლიცია დამნაშავეებს პასუხის გებაში მისცემს საზოგადო კანონების მიხედვით. უკანონო კრების გამართვის ნების დამრთველი სასწავლებლის მთავრობაც პასუხის გებაში იქმნება მიცემული.

**კალვარია.** მეხუთე დღეა, რაც მე-112 ურალის პოლკში ხოლერინა მძვინვარებს. 27 ივნისიდან მე-377 პოლკში ეპიდემიური გასტრო-ენტერიტით ავად გახდა 1300 სალდათი. ერთი გარდაიცვალა. ავადმყოფობამ თავი იჩინა კალვარიის მცხოვრებთა შორისაც.

**ვიატკა.** 5 ივლისს ღამე ქალ. ოხანსკის ზემოდ პერმიდან მიმავალ გემს «ლიუბიმოვ»-ში მგზავრთა შორის 12 მძარცავი აღმოჩნდა. მოკლეს ორი სალდათი და ურიადნიკი. სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი მგზავრი; შტურმანის ოთახისაკენ სროლა ასტეხეს და გემის უფროსი დასჭრეს. მაშინის განყოფილებაში ორი ყუმბარა გადააგდეს. ერთი აფეთქდა და მაშინა ცოტად დააზიანა. ღუზა ჩაუშვეს და გემი გააჩერეს. უცნობებმა საფოსტო კაიუტა შეამტვრიეს, ფოსტის მოხელეს იარაღი აჰყარეს, 35,000 მანეთი გაიტაცეს, გემის ნავით ნაპირს გავიდნენ და მიიმალნენ.

**რიაზანი.** სპასკის მაზრაში ხოლშჩევნიკოვის მამულში გლეხებმა მინდვრები თავიანთ ნებით დათიბეს. როდესაც მოსთხოვეს, თავი დაანებეთო, მათ უარი განაცხადეს. სტრაჟნიკებმა ესროლეს. ერთი გლეხი მოჰკლეს, 10 დასჭრეს. წეს-რიგი აღადგინეს.

**კოსტრომა.** მუშებმა მეფაბრიკეებს ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს. მეფაბრიკეებმა გადასწყვიტეს არაფერი არ დაუთმონ მუშებს. ფაბრიკები დაიხურა.

**ნოვოჩერკასკი.** გაიფიცა ნახშირის სამრეწველო საზოგადოების 2000 მუშა. მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წარადგინეს.

**პეტერბურგი.** კამოცხადდა ბრძანება, რომლის ძალითაც საგანგებო დაცვის წესები ექვსის თვით კიდევ დასტოვეს ნიჟნი-ნოვგოროდში, სორმოვსკის ქარხნის რაიონში. კაზინის და გორდიევსკის ვოლოსტებში და მოსკოვო-ნიჟნი-ნოვგოროდის რკ. გზის ლიანდაგზე. ქ. კრემენჩუგში, კრემენჩუგის მაზრაში და პოსად კრიუკოვოში საგანგებო დაცვა გაძლიერებულ დაცვად შესცვალეს.

**პეტერბურგი.** საპატიმროთა მთავარმა სამართველომ განმარტა, რომ პასუხის გებაში მიცემულ და დაპატიმრებულ პირებს დაქორწინების ნება მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ეძლევათ, მაგალითად ფეხმძიმობის დროს, ანუ როცა პასუხის გებაში მიცემულს თავად-აზნაურთაგანს დირსების ჩამორთმევა მოელის, ხოლო სურვილი კი აქვს, რომ თავისი ღირსება ცოლს ანუ ქორწინების გარეშე დაბადებულ შვილებს გადასცეს.

**ახტარსკი.** კრასნოვოდსკში ურიადნიკმა მოისურვა ექვსის მძარცვის შეპყრობა, მაგრამ მათ რევოლვერები ესროლეს და ურიადნიკი იქვე მოჰკლეს.

**მიტავა.** პოლიციის 146 მაღალ და დაბალ მოხელეს ბევრი ფული დაურიგეს საჩუქრად ტერრორისტების დაჭერისა, სარევო იუციო კომიტეტების აღმოჩენისა და მნელი სამსახურის პირნათლად შესრულებისათვის.

**ყაზანი.** ლაიშევის მაზრაში გარტალოვის მამულში არეულობა მოხდა. მოვიდა გუბერნატორი. გლეხებმა ბოდიში მოიხადეს და მეთაურები და აგიტატორები გასცეს. სათათბიროს წევრი ბატურინი, რომელიც დამალული იყო, მთავრობას თვითონ გამოეცხადა. იგი ხალხს არეულობისადმი იწვევდა და ხალხის მიერ შურის ძიებისა შეეშინდა.

**ლოძი.** ზაკონნი ქუჩაში თავის სახლში სასიკვდილოდ დასჭრეს დავიდოვიჩი. სრედნი ქუჩაში მძიმედ დასჭრეს ერთი მუშა.

**ვილნო.** „ოხრანნი" განყოფილების აგენტებმა და პოლიციამ აღმოაჩინა 3 ფუთი სამხედრო-სარევოლიუციო ლიტერატურისა. ორი კაცი დააპატიმრეს.

**კამენეც-პოდოლსკი.** ღამე უცნობებმა გასძარცვეს ტეპლიკოვსკის ფოსტის კანტორა მოჰკლეს ფოსტალიონი და დარაჯი. მოიტაცეს 1800 მანეთი.

**იუზოვკა.** სად. ჩუხაკოვოში ღამე 10 შეიარაღებული კაცი შევარდა. კასა გასტეხეს და 150 მანეთი წაიღეს.

**ლოძი.** 5 ივლისს ვისნიცკის ფაბრიკაში შეიარაღებული კაცები შეიჭრნენ და სასიკვდილოდ დასჭრეს ფაბრიკის დირექტორი ლივშიცი.

უ ც ხ ო ე თ ში.

6 ივლისი.

**ბერლინი.** ბერლინის ახლო-მახლო ვაკეები დიდ მანძილზე წყალმა დაფარა. წყალმა ბევრი თივა წალეკა. 40 წელიწადია ასეთი წყალ-დიდობა არა ყოფილა.

**სეული.** კორეს მინისტრ-პრეზიდენტმა იმპერატორს წინადადება მისცა, რადგან ჰააგის კონფერენციაზე დეპუტაცია გაჰგზავნე, ტახტიდან გადადიო.

**თეირანი.** პრინცი სალადრუდ-დოულე 3 ივლისს თეირანში მოიყვანეს და საქმის გამომიებამდის ათაბეგის სასახლეში მოათავსეს, ათაბეგისავე პასუხის მგებლობის ქვეშ.

**ვენა.** ქალაქის განაპირას ნიაღვარმა რამდენიმე ქუჩა დაჰფარა. ორი კაცი დაიხრჩო.

**ცეტინიე.** სოფ. ლუგში პერაკის მახლობლად თათრის ჟანდარმებსა და ქრისტიანებს შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია ხუთი სერბი, დაჭრილი ორი დედა-კაცი და ერთი გასათხოვარი ქალი. ჯერ არ იციან შეტაკე[ბის] მიზეზი და არც ის, თუ რამდენი ზარ[ალ]ადათ ოსმალებს.

**ტოკიო.** სე[ულ]ი [illegible] ამბებით იუწყებიან, კორეს იმპერა[ტო]რმა მარკიზი იტო მიიწვიაო. ამბობენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილება იმპერატორის მიერ მეფობაზე უარის თქმის შესახებ გადასწყდება 5 ივლისს საღამოთი. მაშინ იმპერატორთან ყველა მინისტრები მივლენ.

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. ავალიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)
(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევს 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ (1 ს. 43 წ.).

ტფ[ილ]ისში [მო]დის

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
უოველ დღე, კვირეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:
**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. აკოფიანი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინი** 12- ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ქ. ი. გელოვანი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შმერლინგი:** 1½—2 საათამ. ბავშვთა და ქალებისა.
**გ. ი. გურჯენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და ბავშვთა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**
(150—ხაღ.—109)

ბაქოს წიგ. გამომც. ქართ. ამხ.
„კალამისამხ"
წიგნების მაღაზიებს გასასყიდათ დაურიგდათ
**ახალი გამოცემანი** ამხ—სა:
№ 7 საქართველოს ეკლესიის აკლება ფასი 5 კ. და № 8 ვინ რისთვის იბრძვის (პოლიტიკური პარტიები) შედგენილი „მიწის" რედაქციის მიერ ფასი 8 კაპ.
(5—6.—2)

სამე[დი]ატორ[ო] სამართალი
მე და ჩემს [ამხ]ანაგ[ს] [ბ]ელოსნოს სამს მუშას შორის [გ]ადასწყდა მით, რომ თანახმად დადგენილებისა, მე იგინი დავაკმაყოფილე სამ-სამი თვის ჯამაგირით. რის შემდეგაც მე და მათ შორის გათავდა ყოველივე ანგარიში.
(1—6—1) **ვასილ ჯანყარაშვილი.**

**იბეჭდება და მალე გამოვა არტურ შნიცლერის ცნობილი თხზულება**
# ფერხული
ათი დიალოგი, ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით, **თარგმანი ია ეკალაძისა.**
გამყიდველებს დაეთმობათ ოციდან ოცდა ათ პროცენტამდე. ვისაც ამ წიგნის დაბარება სურს, მიმართოს: **ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე, ამხანაგობა „ნდობის" გამგეს სვიმონ ბერძნიშვილს.**
(10—უ—9)

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში
იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:
1. «**ამბოხება კახეთისა**», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. «**საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია**», ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «**ქართლის ცხოვრება**», მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. «**საბერძნეთის ძველი ისტორია**». ნორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «**რომაელების ძველი ისტორია**», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «**ფიზიკური გეოგრაფია**», ს. იაშვალისა . . . . . . . . . . 20 კ.
7. «**მასალების საქართველოს ისტორიისათვის**», . . . . . . . . 1 მ.
8. «**საქართველოს ისტორია**», მ. ჯანაშვილისა . . . . . . . 1 მ.
9. «**მთიულეთი**», (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . 40 კ.
10. «**ცისარტყელა**», სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . . 1 მ. 35 კ.
(—6)


## ღია წერილი სამუილ ნაკაიძეს.

წავიკითხე თქვენი წერილი „ისრის" № 128-ში, სადაც თქვენ მთხოვთ შეგატყობინოთ ნამდვილი განჩინება ჩვენ, მედიატორეებისაგან, გამოტანილი 22 მაისს 1907 წელს შესახებ თქვენ და მელ. მახარაძის შორის ატეხილ უთანხმოებისა. 22 მაის 1907 წელს, ჩვენ მედიატორეები, შეუდექით საქმის გარჩევას. გავარჩიეთ საქმე და მივედით ერთ დასკვნამდე და გამოვიტანეთ რეზოლიუცია, რომელზედაც ხელს ვაწერთ ყველა მედიატორეები. დავავალეთ თავმჯდომარეს ფ. მ., რომ გამოექვეყნებინა გაზეთის ფურცლებზედ. ეს ჩვენი ნამდვილი რეზოლიუცია იყო გამოქვეყნებულ გაზეთ «ლახვრის» № 42-ში. კიდევ მოვიყვან იმ ნამდვილ ჩვენს დადგენილებას: «1907 წ. მაისის 22 დღესა, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერლებმა, მედიატორეებმა, განვიხილეთ რა ბ. ბ. მელქისედექ მახარაძესა და სამუელ ნაკაიძეს შორის ამტყდარი უთანხმოება და ვიხელმძღვანელეთ-რა წარმომადგენელის ჩვენებით, ერთხმად მივედით იმ დასკვნამდე რომ ბ. სამოილ ნაკაიძეს უდევს წილი იმ ფურცლების გამოცემაში, რომლებიც საზოგადოებაში გავრცელდა 1906 წ. მელქისედექ მახარაძის შესახებ და რომელშიაც ეს უკანასკნელი ჯაშუშად იყო გამოცხადებული. ფ. მ., ნ. დ., კ. ჯ., გ. მ. და ტ. ჯ." მართალია, კიდევ იყო ორი წერილი თქვენს შესახებ «ლახვრის» № 45-ში და «ისრის» № 123-ში, რომელზედა ხელს აწერს ფ. მ. ეს ჩვენი დადგენილება არ არის, ეს უკანასკნელი ორი წერილი არის კერძოდ ფ. მ.—საგან გამოშვებული. ეს არის სიმართლე.
(1—1) **ფ. ჯ—ძე.**


# კლინიკა
კბილის ავადმყოფობისა
ლ. ზ[illegible]
კბილის საექიმო სკოლასთან
ერევნის მოედანი (ბეჟბუთოვის ქ. 3).
ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე

ფასი მკურნალობისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ . . . . . | | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება. . . | | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა . . . . . . . . . | | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | | |
| პლომბა გუდაპერჩისა . . . . . . . . | | | 50 „ |
| „ „ ცემენტისა. . . . | 1 მ. | | |
| „ „ მეტალიური. . . | 1 „ | | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ | 50 „ | |
| „ „ ემალისა . . . . . . | 1 „ | 50 „ | |
| „ „ ფაი ფურისა . . . . | 3 „ | | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | | |
| „ „ წმინდა ოქროსი. . . | 3 „ | | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | | |
| „ „ დიოტორიტიული. . | 1 „ | | |
| „ „ კრამპონისა . . . | 1 „ | 50 „ | |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | | | |
| „ „ თითო კავი . . . | 1 „ | | |
| შტიფტის კბილები ოქროზე . . | 3 „ | | |
| კორონკა ლოგანისა . . . . . | 4 „ | | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით . . . . . . . . . | 1 „ | | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | | | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | | | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | | | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | | | |

(100—ბუხ.—15)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

# კეფირი
## ო. კორონისა
კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.
ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს
ლაქტობაცილინის რძე,
მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.
5 აპრილიდან მზადდება
**კუმისი**
მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ.
ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.
(50—ხალ.—40) პატივ. **ო. კორონი.**

გამოვიდა და იყიდება
# ა. საბუელისა
ახალი წიგნი
სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში
წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების" და „Новая Рѣчь"-ის მაღაზ. (0—უ.—4)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა
# კანტორა
სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.
კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

